მზარეულობანა

მოსწავლეები „გამოაცხობენ“ სიტყვებს ასოების პატარა ბარათებით.



კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, მცირე ჯგუფები.

რესურსი: მარკერი, მუყაო/ფურცლები, ჯამი და კოვზი, ქაღალდის ან პლასტმასის თეფში, სათამაშო ფული.

მსვლელობა

- მასწავლებელი წინასწარ ჩამოწერს მუყაოზე ან ფურცელზე ანბანის ყველა ასო-ბგერას ერთმანეთისგან დაახლოებით ორი თითის ინტერვალის დაშორებით (შესაძლებელია ამ პროცესში მოსწავლეების ჩართვაც). შემდეგ კი დაჭრის მათ პატარა კვადრატებად. მნიშვნელოვანია, რომ ხუთივე ხმოვანი მინიმუმ ორ-ორ ფირფიტაზე მაინც ეწეროს.
- მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ დღეს ისინი ითამაშებენ მზარეულობანას ანუ ექნებათ საცხობი და „გამოაცხობენ“ „გემრიელ“ სიტყვებს. ფქვილისა და შაქრის მაგივრად კი გამოიყენებენ ასო-ბგერების ბარათებს.
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ ერთად შეადგინონ მენიუ და ჩამოწერონ, რომელი სიტყვების „გამოცხობა“ შეუძლიათ (თუ მოსწავლეებს ჯერ არ აქვთ წერის უნარი სათანადოდ განვითარებული, მასწავლებელი თავად ჩამოწერს სიტყვებს დაფაზე).

შენიშვნა: ეს შეიძლება იყოს ერთმარცვლიანი სიტყვები (რომელთა დიდი ნაწილის შესწავლა ხდება წინასაანბანო პერიოდშივე, მაგ.: ხე, ტბა, მთა, მზე, ცა, გზა, რუ, ბუ, სკა, ფრთა და ა.შ.), სახელმძღვანელოდან ახლად შესწავლილი სიტყვები, სხვადასხვა თემასთან დაკავშირებული სიტყვები და სხვ.

- მასწავლებელი ანაწილებს როლებს: ბავშვების ნაწილი იქნება „მცხობელი“, ნაწილი - „მყიდველი“. „მცხობელები“ ჯამში ჩაყრიან ასო-ბგერების ბარათებს და კოვზით არევენ. „მყიდველები“ ნახავენ მენიუს და „შეუკვეთენ“ სხვადასხვა სიტყვის „გამოცხობას“. მას შემდეგ, რაც „მცხობელი“ გაიგონებს „შეკვეთილ“ სიტყვას, მან უნდა აურიოს „ინგრედიენტები“, შემდეგ კი ჩაიხედოს ჯამში იმ ასო-ბგერების მოსაძიებლად, რომლებიც „შეკვეთილ“ სიტყვაშია. მაგ., თუკი „შეკვეთილი“ სიტყვაა ***ტყე***, ბავშვმა ჯამში უნდა მოძებნოს „ტ“, „ყ“ და „ე“, დააწყოს ისინი თეფშზე და უთხრას „მყიდველს“, რომ მისი „შეკვეთა“ მზადაა. თუკი სიტყვა სწორად არის დაწერილი, „მყიდველი“ გადაიხდის „საფასურს“ და მადლობას ეტყვის „მზარეულს“. იმ შემთხვევაში, თუ „მყიდველი“ სიტყვაში შეცდომას აღმოაჩენს, მან უნდა უთხრას „მცხობელს“, რომ ეს არ არის მისი შეკვეთა და შესაძლებელია დაეხმაროს შეცდომის მოძებნაში.
- მოგვიანებით მოსწავლეები გაცვლიან როლებს.

შენიშვნა: აქტივობა ეფექტურია ზეპირმეტყველების უნარის გასავარჯიშებლადაც. მასწავლებელი შეახსენებს ბავშვებს, რომ მათ უნდა გამოიყენონ მიმართვის თავაზიანი ფორმები (მაგ., „თუ შეიძლება“, „ინებეთ“, „გემრიელად მიირთვით“, „გმადლობ“, „ბოდიშს გიხდით“, „კარგად ბრძანდებოდეთ“ და სხვ.).